ბრძანება:**ბ47.47221951**

თარიღი:**14/07/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდისა და წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის, ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილებისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.საჯარო მოხელის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარებების საჭიროებებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენის, ასევე საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასება განხორციელდეს კომპეტენციების შეფასების მეთოდით (სამუშაო აღწერილობით დამტკიცებული კომპეტენციების მიხედით).

2. შეფასება ჩატარდეს წელიწადში ერთხელ საბოლოო შეფასების სახით, არაუგვიანეს 15 დეკემბრამდე.

3. მე-3 და მე-4 რანგის პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება მოახდინონ განყოფილების უფროსებმა, მე-2 რანგის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შეფასება მოახდინოს საკრებულოს აპრატის უფროსმა, პირველი რანგის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შეფასება მოახდინოს საკრებულოს თავმჯდომარემ.

4. შეფასება განხორციელდეს 4-ქულიანი სისტემით:

ა) საუკეთესო შეფასება-4 (ოთხი) ქულა;

ბ) კარგი შეფასება-3 (სამი) ქულა;

გ) დამაკმაყოფილებელი შეფასება-2 (ორი) ქულა;

დ) არადამაკმაყოფილებელი შეფასება-1 (ერთი) ქულა.

5. შეფასება ხდება დოკუმენტური მასალის შეფასებითა და მოხელესთან გასაუბრებით:

ა) შესაფასებელი დოკუმენტური მასალა მოიცავს, შესაფასებელ პერიოდში განხორცილებული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც შესაფასებელი მოხელის მიერ ეგზავნება მის უშუალო ხელმძღვანელს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა – MSDA-ს მეშვეობით;

ბ) გასაუბრება მოიცავს თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს განხილვასა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვას.

გ) შეფასების პროცესში მონაწილეობენ, მოხელე, მისი უშუალო ხელმძღვანელი და საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

6. შეფასების ქულების ასახვა მოხდეს შეფასების ფორმაში (დანართი N1-ის შესაბამისად)

7. დაევალოს საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს შეფასების მეთოდისა და წესის დაწესებულების თანამშრომლებისათვის გაცნობა.

8. უშუალო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს, თითოეული საჯარო მოხელისათვის, კომპეტენციების გაცნობის ოქმის წარდგენასა და ხელმოწერას (დანართი N2-ის შესაბამისად).

9. შეფასების შედეგების გასაჩივრება შეიძლება ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილების შესაბამისად.

10. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 08/02/2019 წლის N11 ბრძანება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდისა და წესის დამტკიცების შესახებ.

11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი